

საერთო გაფატი

№8 (513) • 13 მარტი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი

გზა მომავლისკენ

თუკი ირაკლი ნათესავეებს შეეღია, მაშინ ასევე უნდა შეეღიოს ზოგიერთ პარტიულ მეგობარსაც, პარტიაში ჩაბუდებულ ვითომ პატრიოტებს და რაც მთავარია, „ოცნების“ ქურქში დამალულ „ნაციონალებს“



კაი ყმა

ღარიბაშვილი მისიამ დააბრუნა, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ლიბერასტთა ბაკქანალიები ჩაცხრეს და „ვეფხისტყაოსნის“ ენერჯიები შემობრუნდეს

რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნების“ ძველი გვარდია თავად ქართველი ხალხია!

სოსო ჯაჭვლიანი: მიუხედავად იმისა, რომ სახტად ვარ დარჩენილი, მე ვიყავი, ვარ და ვიქნები „ქართულ ოცნებაში“ და აქედან არსად ნასვლანს არ ვაპირებ!



მერაბ შათირიშვილი: სისოსხლის ფასადაც რომ დაბვიჯდეს, ვერ მოვლენ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში!



ფადი ასლი - არაბი ჯაყო ლიბანიდან

ჯადო



„უკვლავთა“ აკადემია

ქალბატონმა ირანდა კალან-დაძემ „საერთო გაზეთიდან“ სამი კითხვა გამომიგზავნა და გადავწყვიტე, ასეთი ფორმით მეპასუხა:

1. რას ვფიქრობ ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებაზე და შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე საქართველოში?

2. რა იყო მისი წასვლის ან დაბრუნების მიზეზი?

3. შეუძლია მას რაიმეს შეცვლა ამ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში?

მე არც ნათელმზილველი და არც პოლიტიკოსი განლაგვართ, მაგრამ ჩემთვის ჩემს ინტუიციას და „სიზმარს“ არასოდეს უღალატია...

ღარიბაშვილი მისიამ დააბრუნა, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ლიბერალთა ბაკქანალიები ჩაცხრეს და „ვეფხისტყაოსნის“ ენერგეტიკა შექმობრუნდეს.

თუმცა საკითხავია, შემოვა თუ არა ახალი პოლიტიკური ძალა და სინერგია — პარლამენტში და ხელისუფლებაში? არსებობს კი ასეთი ძალა საერთოდ?!

მე ვერ ვხედავ ახალ ეროვნულ ენერჯას, ის თანდათან იკარგება, ნელდება და რჩება ძველი თაობის ნარჩენებში. ეს სავალალო მოვლენაა, რჩება აჭრილი დრო და პოლიტიკური სივრცე — ჭრელი, ძველის და ახლის ერთგვარი ანაქრონიზმით...

ვინ შექმნის, ვინ ჩაუდგება ახალ ეროვნულ პოლიტიკურ ერთობას, ვინ შეძლებს მოვლენათა სინთეზს და პროცესების რადიკალურ ცვლას და მართვას. სამწუხაროდ, ჩვენი ნახევრად „ლიბერალური“ პარლამენტი თავისი უმრავლესობით ვერ „ახერხებს“ კანონის მხარდაჭერას, რომელიც სასჯელს (მორალურს მაინც) დაუწესებდა მოფაშისტო სექტას, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიების 1/3 წილი ჩააბარა მტერს.

ეს ჯაშუში ჭიბბერაშვილები და მისი ტიპის პროჭიბერაშვილი ნაცები ასწავლიან ბატონ აბაშიძეს, რომ ენის მოჩლექით არ უნდა ვესაუბროთ რუსებს. ჩვენ ვხედავთ, როგორი ენით ესაუბრნენ ნაცები და რაც მიიღეს. ისიც ვნახეთ...



ქაი ყმა

არ დაელაპარაკები შენ მტერს? მაშინ შენი მეორე მტერი დაელაპარაკება მას.

მინდა გამოვყო რამდენიმე ტენდენცია (სენტენცია) ღარიბაშვილის პოლიტიკაში ყოფნიდან მის წასვლამდე.

პირველი და არსებითი — ეროვნული საარსებო თემების აქტუალიზაცია:

- ა) ენის კანონის მიღება;
- ბ) მთის კანონისთვის აქტიური მხარდაჭერა;
- გ) მის მიერ მყისიერად არხოტის გზის დაწესება, რომელიც ათეული წლები იყო ტაბუირებული მეტად საეჭვო მიზეზებით და მუცოს რესტავრაცია, რომელიც ასევე დიდი ხანი იყო მიყურისძირებული.

მარტო ეს ორი საქმე ღირს ერთი კაცის ღირსებად. არხოტი ისტორიულ-საკრალური თემია, ზოგაირს მინდისა და მონაპირე სარანგთა.

ეს ისტორიულად ხევსურთა მახვილით შემომტკიცებული სამოთხეები ირაკლი ღარიბაშვილმა იქ გზის მიყვანით ერთხელ კიდევ დაუმკვიდრა ქვეყანას.

წერდა ინგოროყვა „სახლგრების კატალოგში“: „მხოლოდ ხევსურეთმა შეძლო მთის იქითა ტერიტორიების შენარჩუნება... სხვა-

გან ყველგან დაკარგული გვაქვს!“ თუ რა ტიპის ხიფათი შეიქმნა ამ კუთხით ახალი ოკუპაციის პირობებში, ჩვენ ამას ყველა ვგრძობთ და ირაკლი ღარიბაშვილის ეს სწრაფი გადაწყვეტილება, ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი იყო.

ასევე მუცო, საქართველოს ჩრდილოეთის ციხესიმაგრე, არქიტექტურის შედევი და მისი დანახვა მთავრობის მეთაურის მიერ, მაგრამ ყველაზე მთავარი მისი ეს ფრაზა იყო: „მე არ დავუშვებ ერთსქესიანთა ქორწინებას. ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობა!“

ლიბერალსტურ-პედოფილურ-პომოსექსუალური სამყაროსთვის (და მსოფლიოსთვის) ეს „დავითფერულის“ გაელვებასავით იყო. ქართული ლიბერალსტული საზოგადოება „აჭრა“ ამ ქრისტიანულ-ზნეობრივმა პოზიციამ.

ეს ულტრალიბერალსტული საფრთხე მთელმა მსოფლიომ იგრძნო და მათ შორის, შეერთებულმა შტატებმა და საქართველოს პრემიერმა ღარიბაშვილმაც, მაგრამ უფლის კვართის და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ჩვენმა ლიბერალსტ-პედარალსტებმა ეს ვერ იგრძნეს და გამუწყვეტლივ აპირებენ ამ მავ-

ნე ბუნებას, ღმერთის (და ერის) წინააღმდეგ მიმართულ ქცევას და ავადმყოფობას...

ჩვენი ტელევიზიები, მათი ჟურნალისტები (არასამთავრობო კლანების მონაწილეობით), მაგალითად, ინგა გრიგოლია, პირდაპირ ავანგარდში უდგას ლიბერალსტ-პომოსექსუალთა და სხვა მეგანზე ჩინოვიკთა აჯანყებას სახელმწიფოს წინააღმდეგ და საჯარო მისტერიებს და ისტერიებს აწვობს.

მაინც რა იყო ირაკლი ღარიბაშვილის წასვლის და ისევ დაბრუნების ის რეალური მიზეზი?

რატომ არ ეკითხებიან ღარიბაშვილს ნაცების და არასამთავრობო სექტათა აგენტი ჟურნალისტები, მაგალითად, სააკაშვილის დღავი გრიგოლია ან სხვა რომელიმე: თქვენი წასვლის მიზეზი ერთსქესიანთა პოლიტიკის უარყოფა ხომ არ იყო ან სხვა მსგავსი ეროვნული ინტერესები, რომლებიც მის მოღვაწეობას გასდევდა, არ ახსენდებათ?

ახსენდებათ და არ ეკითხებიან, რომ პატრიოტის იმიჯი არ გაუძლიერდეს და გმირად არ იქცეს. ისინი მხოლოდ მის ვითომდა, ვიწრო კახური კლანის და ბიძინა ივანიშვილთან კარგი ურთიერთობის თემით სპეკულირებენ.

რაკი ჩემთვის ინტუიციას არასდროს უღალატია, ვიტყვი შემდეგს:

ღარიბაშვილი წავიდა მაშინ, როდესაც ამერიკის ლიბერალსტმა პრეზიდენტმა ერთსქესიანთა ქორწინების კანონი მიიღო და მთელ მსოფლიოს დააძალა. მე მახსოვს ბაიდენის მკვეთრი გამოსვლა მოკავშირეთა მიმართ ამ კანონის მიღების მოწოდებით.

ღარიბაშვილმა მაშინ უარი თქვა ამაზე და წავიდა დინების წინააღმდეგ. ამით მან შეაჩერა ეს ამორალური კანონი საკუთარ სამშობლოში.

ეს საგანგაშო ინფორმაცია მყისიერად მიწოდეს ამერიკის მხარეს ჩვენმა ლიბერალსტ-ჯაშუშმა ბოკერიებმა და რესპუბლიკელებმა და ივანიშვილის ხე-

ლისუფლება ჩაუშვეს. ღარიბაშვილმა საკუთარ თავზე მიიღო „ოკეანის დარტყმა“, როგორც მესამერიდმა.

ეს მოხდა განგაშის გარეშე, რომ პიროვნების შეთანხმებით, როგორც თავად ირაკლიმ თქვა, მაგრამ მიზეზი არ დაუსახელებია, რადგან ეს მიზეზი ტაბუირებულია.

ღარიბაშვილი წავიდა ჩუმაღ და უკომენტაროდ, თითქოს იმ პირობით, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ისეთი პედერალსტ-ლიბერალსტების ქომავი ობამას პოლიტიკა იყო მაშინ.

ნაცები და რესპუბლიკელები უნისონში სისინებდნენ მაშინ: ისე გაქრება „ქართული ოცნება“, როგორც ღარიბაშვილი გაქრაო.

მაგრამ ღარიბაშვილი კვლავ დაბრუნდა და უნდა დაბრუნებულიყო და მე რამდენიმე წერილში ვამტკიცებდი და ვითხოვდი, რომ მისი დაბრუნება აუცილებელი იყო.

„ქართულ ოცნებაში“ და, ზოგადად, „ქართულ პოლიტიკაში“ მისი ადგილი ცარიელი დარჩა და ის ვერავინ შეაგხო.

მუცოზე ასვლის მერე მას ხევსურებმა „პატარა კახი“ შეარქვეს. შესაძლოა, ეს ზედსახელი (თიკუნი) მას კარგად აუხდეს...

როგორც წყდნ ვთქვი, მისი წასვლის ეს მიზეზი კარგად იციან ლიბერალსტ-პედერალსტებმა და ამაზე კრინტს არ ძრავენ, რადგანაც ეს მიზეზი მას ერში ღირსებას უზრდის და სახელს მატებს. „კარგი ყმისთვის“ სახელია მთავარი და მამულისთვის „კაი ყმა“. ის ღირსებაშეუღალხავად წავიდა და გაიყოლა ერის სიყვარული. მე მახსოვს, სპორტის სასახლეში როგორი ოვაციით შეეგება მას მრავალათასიანი დარბაზი (უკვე წასულს) და ფეხზე წამოუდგა.

ამიტომ მისი დაბრუნებით აღმოფთებულია ლიბერალსტული სამყარო და ოპოზიცია. ეს ასეც უნდა იყოს.

კიდევ რა გარემოებამ დააბრუნა ღარიბაშვილი?

ამერიკაში მოვიდა სხვა პრეზიდენტი და მოიტანა რადიკალურად საპირისპირო პოლიტიკა. ტრამპი დაუპირისპირდა მსოფლიოს ახალი „შავი ჭირის“ ეპიდემიას — ულტრალიბერალისტ-სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შევიდა მათთან.

რომ არა ტრამპის პოლიტიკა (და მისი მოსვლა) ღარიბაშვილი ვერ დაბრუნდებოდა, მაგრამ ღმერთმა და ბუნებამ შექმნა ეს ვითარება.

ღარიბაშვილი იმისთვის დაბრუნდა, რომ ტრამპი საქართველომდე მოიყვანოს.

ღარიბაშვილმა უნდა დაიწყო მკვეთრი და გაბედული მოქმედება და იტვირთოს ლიდერის ფუნქცია.

ეს მას შეუძლია!

კობა არაბული
მწერალი, ეთნოლოგი



„ქართული ოცნების“ ძველი გვარდია თავად ქართველი ხალხია!

გვესაუბრება ფსიქოლოგი, ანალიტიკოსი რამაზ სამხარელიძე:

— ბატონო რამაზ, ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა. მისი მობრუნება 2012 წლის სულისკვეთებასთან, იმ იდეებისთვის ბრძოლასთან ასოცირდება. თქვენ, რა მოლოდინი გქონდათ და რეალურად, რა ხდება?

— გეთანხმებით, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ღარიბაშვილი 2012 წლის სულისკვეთებასთან ასოცირდება. მისი პოლიტიკაში დაბრუნება, სწორედ, ამ სულისკვეთების სიმბოლოდ იყო აღქმული. ნაწილობრივ, ვთვლიდი, რომ ღარიბაშვილის დაბრუნება — ეს ნაბიჯი იმ ამოცანას ემსახურებოდა, რაც ივანიშვილმა პოლიტიკაში მეორედ მოსვლისას განაცხადა — ხალხთან და პარტიის შიგნით კავშირების აღდგენა. 2012 წელს ივანიშვილის გარშემო შემოკრებილი ხალხის ხელახალი მობილიზაციით შესაძლებელი იყო ამ ამოცანის გადაწყვეტა. მათი სპონტანურად ხელახალი მობილიზაცია, ნაწილობრივ, მო-

— რაც შეეხება ახალი სახეების ძიებას. რა მოსაზრება გაქვთ ყოველივეზე?

— პარტიამ გამოაცხადა, რომ ახალ სახეებს ეძებს. პრინციპი ასეთია: ადგილობრივ ხელისუფლებას ახალი კადრების მოძიება დაევა. გაჟღერდა შემდეგი სახის მოთხოვნები: კომპეტენცია, ენერჯია, ღირებულებებისადმი ერთგულება, ოღონდ, არ დაკონკრეტებულა რა ღირებულებებზეა საუბარი. გავიხსენოთ, რა იყო 2012 წლის სულისკვეთება? — მათ სააკაშვილის პერიოდის რეჟიმის შენარჩუნება დაუშვებლად მიიჩნდათ — აი, რა აერთიანებდათ ამ ადამიანებს. ეს მომენტი ახალი სახეების მოძიების პროცესში ნახსენები საერთოდ არ ყოფილა. არადა, სწორედ სააკაშვილის რეჟიმთან მიუღებლობას უკავშირდება ის, რომ სალომე ზურაბიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვა. ანუ, ძველი გვარდია ივანიშვილის გვერდით სწორედ იმიტომ დადგა, რომ მას სააკაშვილის რეჟიმის აღდგენა არ უნდოდა. ასე, რომ სააკაშვი-

პარლამენტში ჰყავს — სამი ახალგაზრდა, რომელიც პარლამენტს, უმრავლესობასა და ფრაქციას ხელმძღვანელობს. ისინიც ახალი სახეები იყვნენ. აი, სწორედ, ამ ახალმა სახეებმა მიიყვანეს დაშლამდე „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ჯგუფი. დიახ, ამ ახალმა სახეებმა მხარი დაუჭირეს „ნაცმოძრაობის“ მოსამართლეებს და ჩააგდეს „პატრიოტთა ალიანსის“ ინიციატივა — „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური შეფასება მომხდარიყო. ასე, რომ „ქართული ოცნების“ ეს ახალი სახეები, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობის“ მფარველებად გვევლინებიან. თუკი ამჯერადაც, ახალ სახეებს ისევ ამავე პრინციპით ეძებენ — მთავარია ახალი იყოს და რა ორიენტაციის იქნება მნიშვნელოვან არ აქვს, მაშინ „ნაცმოძრაობის“ ხვედრითი წილი „ქართულ ოცნებაში“ კიდევ უფრო გაიზარდება. საქმე ის გახლავთ, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ „ნაცმოძრაობის“ მიმართ ის მიუღებლობა, რაც აქვთ მათ, რომელთა ოჯახები დაარბიეს, ქონება წაართვეს, ახლობლები მოუკლეს და ა.შ. ანუ, თაობებს შორის, „ნაცმოძრაობის“ მიმართ დამოკიდებულებაში, დიდი განსხვავებაა. თუ ისევ ახალ თაობებს მოვიყვანთ, თავისთავად, ისინი, „ნაცმოძრაობასთან“ დაპირისპირებაში პრინციპულნი არ იქნებიან. შესაძლოა კიდევ უარესიც მოხდეს — მათ რიგებში, თავად, „ნაციონალებმა“ შესაძლოა თავიანთი ხალხი შეუშვან ისე როგორც დღეს არის — ეს ხალხი, ფაქტობრივად, ყველა სტრუქტურაში მიმობნეულია. „ნაცებს“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თავისი ხალხი ჰყავს. ადიახ, სწორედ იმ ორგანოებში, რომლიდანაც ახლა ახალი კადრები იძებნება. ასე, რომ თუ ეს სურათი არ შეიცვალა, რაც ამ წინაპირობიდან გამომდინარეობს და თუ დარჩენილ პერიოდში ახალი კადრების ძიებას სასიკეთო არაფერი დაემატა, მაშინ ჩვენ, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციაში მივიღებთ ახალ სახეებს, რომლებიც უკვე არსებული არაპოპულარული სახეების გაგრძელებები იქნებიან და მეტი არაფერი. და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ივანიშვილს 2020



წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება საკმაოდ გაუჭირდება. მოსახლეობა პასიურად რომ იყოს, „ნაცები“ მის გამარჯვებას არ დაუშვებენ. **მკონია, „ქართული ოცნება“ ვერ ხვდება იმას, რომ მათსა და „ნაცებს“ შორის ბრძოლა ბრძოლაა. ყოველ შემთხვევაში, ამ ბრძოლას ის სიმწვავე არ აქვს, რაც მიმას ყოფნა-არყოფნის შემთხვევაში ექნებოდა. ეს ორი ალტერნატივა, ამომრჩევლის თვალში, ერთმანეთთან დაპირისპირებულია იმ მხრივაც, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ კომპეტენციის თვალსაზრისითაც არის პრეტენზიები. ანუ, ხალხი ფიქრობს, რომ მათ არ ჰყოფნით კომპეტენცია იმ თანამდებობებზე, რაზეც იმყოფებიან. „ნაციონალური მოძრაობის“ ნოსტალგია არ აქვთ, მაგრამ ნოსტალგია გაჩნდა გაბედული, ენერჯიული პოლიტიკის მოთხოვნის კუთხით. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკვე აფიქსირებს მოსაზრებას: „ნაცები“ საქმის გამკეთებლები მაინც იყვნენო. ასე, რომ თუკი „ქართულმა ოცნებამ“ თავის გამოვლენილ უუნარობას „ნაცმოძრაობის“ მიმართ ლოიალურობაც დაამატა, რაც აქამდეც სახეზე იყო და რამაც საპრეზიდენტო არჩევნებზე მოსახლეობის 50%-ის სახლში დარჩენა გამოიწვია, თუკი პროცესი ამჯერად გაგრძელდა და უფრო მკვეთრი სახე მიიღო, მაშინ 50%-ზე მეტი ადამიანი დარჩება სახლში. გამორიცხული არ არის, ვინც სახლში არ დარჩება,**

უპირატესობა „ნაცმოძრაობას“ მიანიჭოს.

— საზოგადოება დაიბნა, ვერ გაურკვევია საით მიდის პროცესი.

— საერთოდ, დავიმასოვროთ, რომ ადამიანს თავისზე უფროსი არასდროს მოჰყავს. თაობებს შორის, გარკვეული, ფარული მიუღებლობა არსებობს. ადამიანს მოჰყავს თავისი თანატოლი ან უმცროსი. ბუნებრივია, ახალი სახეების მაძიებლებად თუ ახალგაზრდებს გაუშვებენ, ისინი, პოლიტიკაში, საერთოდ, საბავშვო ბაღს შემოიყვანენ.

მეც მიმაჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ ძველ მხარდამჭერებს მოძებნიდა, რომელთათვისაც „ნაცმოძრაობა“ მიუღებელია და ივანიშვილის გუნდი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებდა. ეს შანსი ჯერ კიდევ არსებობს. მაგრამ წამგებიანია ნაბიჯები, უკვე გაუგებარს ტოვებს — რა გზას ადგას „ქართული ოცნება“. „ქართულ ოცნებას“ არ ესმის, ვერ აცნობიერებს რა საფრთხე ან შანსი დგას თითოეული ალტერნატივის უკან. გამარჯვების სტრატეგია ერთიან, ლოგიკურ ხაზზე არ არის განლაგებული.

— თქვენი აზრით, რა მოლოდინი აქვს მმართველი გუნდისგან „ქართული ოცნების“ გულშემატკივარს?

— „ქართული ოცნების“ გულშემატკივარი ელოდა იმას, რაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდგომ დაპირების სახით ითქვა. ამიტომ მივიდა იგი



ულოდნელადაც, ივანიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გადაწყვიტა, როცა ძველ გვარდიას გვერდში დგომისკენ მოუწოდა. ეს, სწორედ, 2012 წელს მის გარშემო შემოკრებილი გვარდია გახლავთ. პრინციპში, ჩემი ვარაუდი, ასეთი იყო: პირველი ტურის შემდეგ გადადგმულ ამ ნაბიჯს ივანიშვილი ზოგად სტრატეგიად ჩამოაყალიბებდა და პარტიას ამ მიმართულებით წაიყვანდა. კერძოდ, პარტიაში 2012 წლის ადამიანების დაბრუნება. სიმართლე გითხრათ, ამ ვერსიის დასაბუთებად ღარიბაშვილის მმართველ სტრუქტურაში გამოჩენა ჩავთვალე. თუმცა, მის გამოჩენას მოჰყვა მისივე საკმაოდ მკაცრი განცხადება „ქართული ოცნებიდან“ წასული წევრების მიმართ. აქ, უკვე ამკარა გახდა, რომ იგი, 2012 წლის სულისკვეთებით გამსჭვალული ხალხის შემკრები ფიგურა არ არის. ადამიანები, რომლებიც პარტიიდან წავიდნენ, 2012 წლის იდეებზე, ამ ღირებულებებზე ახდენდნენ აპელირებას, პროტესტი ამიტომაც გამოთქვეს. ახლა, რა გამოვიდა? — ეს ჯგუფი შეფასდა მართლ იმ ნიშნით, მედიაში აკეთებენ თუ არა განცხადებებს, ზოგადი სტრატეგიული ნიშანი ნახსენებიც აღარ იყო.

ლის რეჟიმის, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებისა და „ქართული ოცნების“ ძალაუფლებაში ყოფნის საკითხი, მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელსაც ძველი გვარდია ჰქვია და რომელიც 2012 წლის გამარჯვებასთან ასოცირდება, ისევე ერთმანეთს უკავშირდება. მაგრამ ღარიბაშვილის გამოჩენამ, მისმა მკაცრმა შეფასებებმა და ახალი სახეების ძიებამ, 2012 წლის სულისკვეთების კვალი გააქრო. არადა, მეგონა, ივანიშვილი ამ კვალს გაჰყვებოდა. სწორედ, ამ გზით გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში ზურაბიშვილის კანდიდატურამ. თუ „ქართული ოცნება“ 2020 წლისთვისაც ამ ფორმულით, პათოსით იმოქმედებდა, რომ ძველი გვარდია სააკაშვილის რეჟიმის აღდგენას დაუშვებლად მიიჩნევს, მაშინ გამარჯვების შანსი დიდი ექნებოდა. ვერ გეტყვით, ეს ფორმულა დღის წესრიგიდან მოიხსნა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ღარიბაშვილის მოყვანის გარდა, სხვა დანარჩენი ნაბიჯები ძველ გვარდიასთან დაახლოების ფორმულაში არ ზის. ფაქტობრივად, ეს ყბადღებელი ახალი სახეების თემაა, რაც ყველა არჩევნებზე დგება და რომლის ერთ-ერთი შედეგია მაგალითად ის ელიტა, რაც „ქართულ ოცნებას“



მეორე ტურზე — დაიჯერა ბიძინა ივანიშვილის პირობა და ელოდა, რომ ეს ხაზი გაგრძელდებოდა და ასეთ შემთხვევაში, იგი, ბოლომდე ბატონი ბიძინას გვერდით დადგებოდა. „ქართული ოცნებისადმი“ გულშემოთმად იმდენად წინა პლანზე არ წამოეწვივდა, რამდენადაც 2012 წლის ღირებულებების გულშემოთმადიარს. 2012 წლის ღირებულებების ერთგული გულშემოთმადიარს კი დაპირებების შესრულებას ელოდა. ერთ-ერთი პირობა იყო: 2012 წლის სულისკვეთება, შიდა პოლიტიკაში, ბოლომდე გატარებულიყო. ამ მიმართულებით ერთი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ვგულისხმობ, ღირებულების დაბრუნებას, თუმცა, ჯერ სახელმწიფოსთვის დიდი დროა დარჩენილი. თუ, ახლა, გარკვეული ნაბიჯების მისამართით კითხვის ნიშნებს ვსვამ, ეს იმიტომ, რომ საზოგადოებასაც გაუჩნდეს იგივე

ისმოდა: მთავარი განათლებათა, ოღონდ, ფინანსური წახალისება ამ პროცესს არ პქონდა. რა მიმართულებითაც ამ საკითხზე ფიქრი ხდება, უდაოდ მისასალმებელია. აქვე, მოიაზრება მეცნიერების ხელშეწყობაც. ქვეყანა, სადაც მეცნიერება არ არის, იქ, არც განათლებაა. კიდევ ერთი ასპექტია პრობლემა და სასურველი მასზე დაფიქრება: სასკოლო სისტემაში, დაფინანსების მხრივ, საგანმანათლებლო სისტემის დაფინანსება იგულისხმება, რაშიც ბავშვი ექვსი წლის მერე გადადის. ის ნახევარ ცხოვრებას მინც ოჯახში ატარებს. 6 წელი საქართველოს პერიოდია და მით უმეტეს მაშინ, როცა ოჯახის გაველენის ქვეშ ბავშვი დიდხანს რჩება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა განათლების მიმართ ბავშვების დამოკიდებულებაში არის ოჯახი, მშობლების თაობა. ბუნებრი-



კითხვები და მმართველ პარტიას მანაც აგრძობინოს რა უნდა და რა — არა. წინ საკმაოდ დროა იმისათვის, რათა მდგომარეობა მკვეთრ კალაპოტში ჩაჯდეს და პროცესები ისეთი სტრატეგიით განვითარდეს, რაც უდაოდ გამარჯვების მომტანი იქნება.

— მაგრამ ახალი სახეებით დაკომპლექტებული გუნდი რამდენად შეძლებს ქართველი ხალხის გამარჯვებამდე მიყვანას?

— გამარჯვებამდე მიყვანაზე საუბარი ჯერ ადრეა. ვნახოთ, როგორ დაკომპლექტდება გუნდი. არსებობს იმის შანსიც, რომ თუ საზოგადოების აზრს ყურადღება მიექცევა, გუნდი 2012 წლის პროცესებში მონაწილე ადამიანებით დაკომპლექტდეს, რომლებიც საპარლამენტო პოლიტიკური ცხოვრებისთვის მართლაც ახალი სახეები იქნებიან.

აქვე, თუ შეიძლება ერთ საკითხსაც შევეხები: ბახტაძემ გამოაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების დაფინანსებაში ბიუჯეტი საგრძობლად გაიზარდება. ეს ძალიან სასიამოვნო ფაქტია იმ კუთხითაც, რომ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა ხდება ფინანსების დახმარებით და არა მარტო მოწოდებით. აქამდე, ხშირად, მხოლოდ, მოწოდებები

ვია, ჩნდება კითხვა: რა შეიძლება მოუხერხონ მშობლების თაობას, მათთვის სკოლებს ხომ არ გახსნიან?! ეს პრობლემა მთელ ქვეყანას უდას. ბევრმა ქვეყანამ — ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი, ეს პრობლემა — მშობლების თაობაში განათლების დაბალი ხარისხი და მერე ამის გავლენა ბავშვების განათლებაზე, მასშვედის საშუალებით გადაწყვიტა. ძირითადად, საზოგადოებრივი ტიპის მასშვედით, რომელიც საგანმანათლებლო ფილმებით, პროგრამებით და ა.შ. შეავსო აი, ამ საგანმანათლებლო ფილმების, პროგრამების ძირითადი აღრესატები ბავშვები კი არა მშობლები არიან, მათი განათლების ამოწვევის მნიშვნელოვანი ბერკეტი არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ასე, რომ თუკი ამ გზას ვადგავართ და განათლებული საზოგადოება გვინდა, რომელიც მსოფლიოში კონკურენტუნარიანი იქნება, მაშინ ეს ასპექტიც გასათვალისწინებელია. საზოგადოებრივი ტელევიზია არ უნდა იყოს კერძო ტელევიზიების დუბლიორი. მას სხვა, სწორედ, საგანმანათლებლო ფუნქციები აქვს, რაც ჩვენთანაც უნდა დაინერგოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მზია ფაილოკი: ქალაქის ინტეგრირება შედეგად აღაშიანი იფიქრებს, რომ ბალის დირექტორები განსაზღვრავს ჯალათიხივით აღბანან თავზე და აუიხილავან...

პარტია „ახალი საქართველო“ სოციალური მიმართულების ხელმძღვანელის ინტერვიუს, სადაც თონა ჭალიძე საუბრობს, რომ საბავშვო ბაღებში არ ხდება პედაგოგებისთვის საკვები ულუფის გამოყოფა და მათ აღსაზრდელის თანდასწრებით სახლიდან მიტანილი საკვების მიღება არ შეუძლიათ, ბალის დირექტორების პროტესტი მოპყვა. არის თუ არა საბავშვო ბაღის მენიუში გათვალისწინებული პედაგოგების კვება, რატომ ეკრძალება პედაგოგს სახლიდან მიტანილი საკვების აღსაზრდელთან ერთად მირთმევა და იღვრება თუ არა საბავშვო ბაღებიდან საკვების ნარჩენები ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს“ საქართველოს სკოლამდელთა განვითარებისა და უფლებების დაცვისლიგის ხელმძღვანელი მზია ფაილოკი ესაუბრა:



— წინა კვირას მედიასაშუალებებში გამოქვეყნდა პარტია „ახალი საქართველო“ სოციალური მიმართულების ხელმძღვანელის ინტერვიუ, სადაც თონა ჭალიძე ამბობს, რომ ბალის პედაგოგებს სამსახურში შესულდული აქვთ კვების უფლება და ბავშვების თანდასწრებით სახლიდან მოტანილი საკვების მიღებაც კი არ შეუძლიათ. ამ ინტერვიუს გამო ძალიან ბევრი ბალის დირექტორი შეურაცხყოფილი დარჩა, რადგან გაუთვითცნობიერებელი ადამიანი იფიქრებს, რომ ბალის დირექტორები მასწავლებლებს ჯალათიხივით ადგანან თავზე და აწიშნავენ.

— იქნებ აგვიხსნათ, სინამდვილეში რა ხდება, არის თუ არა საბავშვო ბაღის მენიუში გათვალისწინებული პედაგოგების კვება და აქვს თუ არა საბავშვო ბაღის პედაგოგს სამსახურში ჭამის უფლება თუ სახლში მისვლამდე უნდა იწიშნალოს?

— ამასთან დაკავშირებით, რეგულაციები არ არსებობს, მაგრამ ასეთი რეგულაცია არც ერთ დროს და არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობდა. 90-იან წლებში, როდესაც საკვები მართლაც ჭირდა და ბაღებს თავი ძლივს გაპქონდათ, პედაგოგებისთვის იყო გარკვეული თანხა დაწესებული, რომელსაც ბიუჯეტს უხდიდნენ და მთელი თვის განმავლობაში, იკვებებოდნენ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, პედაგოგის კვება არც ერთი ხელისუფლების დროს, კომუნისტების დროსაც კი ბალის მენიუში არ შედიოდა.

— რატომ? — თითოეული აღსაზრდელის კვება სახელმწიფოს ყოველდღიურად 3 ლარი და 20 თეთრი უჯდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიწერული თანხაა, საკვები საკმაოდ ჯანსაღი და მრავალფეროვანია და სასაყვედურო არავის აქვს, მაგრამ 62000 აღსაზრდელს რომ 3000 თანამშრო-

მელი დაემატოს, თითოეულ ბალს დამატებით, 100-მდე ადამიანისთვის მოუწევს საკვების მოწოდება. ეს კი მხოლოდ დამატებით თანხას კი არა, დამატებით მზარეულს და მომსახურე პერსონალსაც მოითხოვს, რომელმაც ეს საკვები უნდა მოამზადოს.

— ჭალიძის თქმით, აღსაზრდელის დასწრება ბაღებში ბევრად ნაკლებია, ვიდრე ეს ტენდერითაა გათვალისწინებული. შესაბამისად, არის საშუალება, რომ პედაგოგებისთვის საკვები ბიუჯეტის გაზრდელად მოწოდდეს.

— საქმეც ის არის, რომ ამის საშუალება არის და არც ერთი დირექტორი არ უკრძალავს მასწავლებლებს წვნიანის მირთმევას. რაც შეეხება ცალობით პროდუქტს, რომელიც ბავშვთა რაოდენობაზეა გათვლილი, ის მხოლოდ ბავშვებისთვისაა. ცალობით პროდუქტში შედის კვერცი, ტოლმა, კოტლეტი, ფუნთუშა, ღვეხელი, ხაჭაპურის ნაჭერი, თევზი პური და ა.შ. ამასთან, ზოგიერთი ბავშვი თევზს ან ტოლმას არ მიირთმევს, ზოგს ხაჭაპური არ უყვარს. ეს რა თქმა უნდა, რჩება და ამის მირთმევაზე არავითარი აკრძალვა არ არსებობს. პირადად მე არ მჯერა, რომ რომელიმე ბაღში საჭმელი იღვრება და დირექტორები მასწავლებლებს ჭამის უფლებას არ აძლევენ, ამიტომ კარგი იქნება, თუ ქალბატონი თონა დააკონკრეტებს რომელ ბაღში იყო ასეთი შემთხვევა.

— რატომ ეკრძალება მასწავლებლებს აღსაზრდელთან ერთად ჭამა?

— პირიქით, ჩვენ აღზრდის სტრატეგიაში მითითებული გვაქვს, რომ მომსახურე პერსონალი აუცილებლად ბავშვებთან ერთად უნდა მირთმევედეს. მასწავლებლებს აღსაზრდელთან ერთად სახლიდან მოტანილის ჭამა ეკრძალება, იმიტომ, რომ

ბავშვის ყურადღება განსხვავებულ საკვებზე არ გადავიდეს.

— თავის დროზე, ბევრს საუბრობდნენ საბავშვო ბაღებიდან დიდი ოდენობით საკვების გადაღვრებაზე. ეს პრობლემა თუ მოგვარდა?

— საკვები იღვრება იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი არ ამთავრებს თავის ულუფას, თორემ ქვაბიდან არაფერი იღვრება, თანაც საკვები იმ პერიოდში იღვრებოდა, როცა 1581 კალორია იყო დაწესებული და გაუზრებელი სალათები, მჭადი და ღომი კეთდებოდა, რასაც ბავშვები არ ჭამდნენ. ახლა ძალიან კარგი და ჯანსაღი მენიუა და ბავშვი 1292 კალორიას სრულად იღებს. სხვათა შორის, არც დარჩენილი საკვები იღვრება. არსებობენ მეურნეობები, რომლებიც ბიუჯეტში გარკვეულ თანხას იხდიან და ნარჩენები დახურული კასრებით გააქვთ. ზოგჯერ საკვების მომწოდებლებსაც გააქვთ ხან ორ დღეში და ხან კვირაში ერთხელ. და ბოლოს, თონა ჭალიძის კომპეტენციაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ყველას „ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება“. თუ რომელიმე ბაღში დირექტორი მასწავლებლებს უკრძალავს ყველა ულუფის გაცემის შემდეგ ქვაბში დარჩენილი წვნიანის მირთმევას, მაშინ უნდა დაეასახლოთ დირექტორი, რომელიც ამას აკეთებს. ამჟამად, ბავშვების მართვის სააგენტოს მუშაობა დადებითად არის შეფასებული, ამიტომ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთა გულშემოთმადიარეობა სააგენტო და ბალის დირექტორები უფრო არიან, ვიდრე პარტიული აქტივის წარმომადგენლები.

ნელი თორდია
571 35 36 88



მერაბ შატირიშვილი:

სისოსხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, პირ მოვლენ „ნაციონალეზი“ ხელისუფლებაში!

გვესაუბრება მოძრაობა „2012-იანელები ღირსეული საქართველოსთვის“ დამფუძნებელი,

ბატონო მერაბ შატირიშვილი — ბატონო მერაბ, როგორ შეაფასებთ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას?

— ბოლო წლების განმავლობაში სულ ვამბობდი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი უნდა დაბრუნებულიყო პოლიტიკაში, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა.

ზოგიერთს შეიძლება ეფიქრა, თუკი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში შემოვიდოდა, „ქართული ოცნება“ გაიფოფოდა, მაგრამ ასეც რომ ფოფოლიყო, ეს არ იქნებოდა განსაკუთრებული და იშვიათი პოლიტიკური მდგომარეობა. არც იდეოლოგიურ სხვადასხვაობასთან გვექნებოდა საქმე. უხუცესი შედარება კი იქნება, მაგრამ „ნაციონალიზმი“ და „ევროპული საქართველო“ სხვადასხვა სახელებით ფიგურირებენ, მაგრამ ერთი არ არიან?! ამიტომ, რა ფორმით და რა ვითარებაშიც არ უნდა შემოსულიყო ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში, მის გვერდით მაინც დარჩავენ ისევე, როგორც ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში, მის გვერდით მაინც დარჩავენ ისევე, როგორც „2012-იანელების“ ლიდერი.

მოგეხსენებათ, მე დავაფუძნე ორგანიზაცია „2012-იანელები ღირსეული საქართველოსთვის“, მე ვხელმძღვანელობდი 44 რაიონში ჩვენს მხარდამჭერთა აქტივობას და სრულიად უანგაროდ გავაკეთეთ საქმე საპრეზიდენტო არჩევნების დროს. მინიმუმ 5% მიუვმატეთ ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატს, გაეაქტიურეთ ის განაწევრებული ელექტორატი, ის 53%, რომლებსაც „ქართული ოცნების“ თავგადაკლული აქტივისტებიც კი ვერ მიიყვანდნენ საარჩევნო ყუთებთან. ჩვენ გვენდო ის ხალხი, რადგან მათნიარად

განაწევრებული ვიყავით. უფრო სწორად, განაწევრებულნი კი არა, შეურაცხყოფილები და რადგან პირად წყენაზე მაღლა სახელმწიფოებრივი ინტერესები დაეყენეთ, ხალხი გვენდო. ადამიანები, რომლებიც, არ აპირებდნენ არჩევნებზე მისვლას.

თავად „ქართულ ოცნებას“, თავის ამომრჩეველად რომ მიაჩნდა, ის ხალხი ატყუებდა. „ოცნების“ აქტივისტები ჩვენს აქტივისტებს დასდევდნენ მერევე ტურში და სიუბის გადაწერას სთხოვდნენ, რომ მიეტანათ შტაბებში და დაერწმუნებინათ ხელმძღვანელები, თითქოს ამომრჩეველი მიუმატეს სახელისუფლებო კანდიდატს. ასეთმა დაბნეულობამ და უპასუხისმგებლობამ გამოიწვია სწორედ მარცხი პირველ ტურში.

რეგიონებიდან წამოსული ტყუილი და ცრუ ინფორმაციები მივიღე მაღალ ეშვებზე მდებარე და ისე მოხდა ბოლოს, რომ ბიძინა ივანიშვილიც კი დააჯერეს პირველ ტურშივე გამარჯვებაში.

ირაკლი ღარიბაშვილმაც აღნიშნა: იმ ადამიანების მიმართ უსამართლო დამოკიდებულებამ, რომლებიც უანგაროდ ემსახურნენ „ქართულ ოცნებას“ და, ფაქტობრივად, სასწორზე შეაგდეს სიცოცხლე და საკუთარი უსაფრთხოება, ბატონი ბიძინას მხრიდან ლოიალურმა და, შეიძლება ითქვას, ზედმოკრატულმა დამოკიდებულებამ განაპირობა მარცხიო. ბატონ ბიძინას უნდოდა არ გახლეჩილიყო საზოგადოება, არ ყოფილიყვნენ რევანსისტული, დაპირისპირებული ძალები, მაგრამ სხვა გზა ახლა არაა.

აქაც თანხვედრაშია ირაკლი ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის შეხედულებასთან და ამიტომაც ვრწმუნდები, რომ ის სწორ გზას ადგას.

— დამნაშავე რეჟიმის შემქმნელი „ნაციონალეზის“ პარპაში საქართველოში კვლავ გაგრძელდება?

— ბიძინა ივანიშვილმა დაინდო

ნაციონალეზის წარმომადგენლები, არ კრა ხელი და შეეცადა სახელმწიფო სამსახურისთვის გამოეყენებინა, ადამიანურად მიუდგა, როგორც ქართულ ოჯახში სიკეთით და სიყვარულით გაზრდილმა კაცმა, რომელსაც ბოროტების ნასახი არ აქვს და ვერ წარმოიდგინა ნაციონალეზის ბოროტების საზღვრები. არადა, როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდება, ისე არ გამოსწორდება ნაციონალეზი.

ირაკლი ღარიბაშვილმაც ეს თქვა და სწორადაც შენიშნა, სხვათა შორის.

მოდით, ასე ვთქვათ, „ქართული ოცნების“ მესვეურები, დღევანდელი მოცემულობით, არ არიან ღირსი საქართველოს ხელისუფალნი იყვნენ, მაგრამ, მგონი, დგება დრო, როცა ყველაფრის გამოსწორებისკენ მივდივართ, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა უკვე დაიწყო — ირაკლი ღარიბაშვილი დაბრუნდა პოლიტიკაში.

2012 წლიდან 2019 წლამდე, ანუ 7 წლის განმავლობაში ქართულ პოლიტიკაში ახალი ძალა არ გამოჩენილა, მეტიც, ერთი ახალი პოლიტიკური სახეც კი არ დაგვინახავს, ამიტომაც 2020 წლის არჩევნებზე იქნება ასეთი რეალობა — ან „ქართული ოცნება“, ან „ნაციონალიზმი“.

გასაგებია, რომ ასეთი მოცემულობა არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ შექმნა, ამიტომაცაა უკმაყოფილო ქართველი ხალხი და მართალია ჩვენს მოსახლეობა. „ნაციონალიზმი“ თავის დროზე უნდა გასამართლებულიყო, როგორც სისხლიანი რეჟიმი და დღეს ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა. გაწმენდილ პოლიტიკურ ველზე ახალი ძალები წარმოიქმნებოდა და იქნებოდა კონსტრუქციული პაექრობა, მაგრამ, რადგან სიტუაცია დღეს ისეთია, როგორსაც ვხედავთ, გამოსავალი უნდა ვეძებოთ.

2012 წლის მონაპოვარს „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენლის შეცდომებს ვერ გადავავლობთ.



2012 წელს, მანამდეც და მეორეც, ვინც ერთად ვიყავით, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებთ „ნაციონალიზმის“ მობრუნებას ხელისუფლებაში და არც „ქართულ ოცნებას“ ვაპატიებთ შეცდომებს.

— ოპოზიცია ამბობს, ირაკლი ღარიბაშვილი ისევ იმას ლაპარაკობს, რასაც 2012-ში ამბობდა, არადა, ახლა სხვა სიტუაციაა, უკვე 7 წელი გავიდა და „ნაციონალიზმი“ საფრთხობელად გამოიყენება ხელისუფლებას აღარ გამოადგებაო.

— ირაკლი ღარიბაშვილი ზუსტად იგეგვს ლაპარაკობს, რასაც უნდა ლაპარაკობდეს. დიახაც, ჩვენ უნდა გვექნდეს 2012 წლის განცდა.

უბედურება იმაშიცაა, რომ „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა დაივიწყა 2012 წლის განცდა და ახლა, როცა ირაკლი ღარიბაშვილი საუბრობდა, თვალწინ დამიდგა ყველაფერი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ 2012 წელს დაწყებული ბრძოლა არ დამთავრებულა.

მართალია, ის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ რადგან ასე არ მოხდა, ახლა უნდა ვიბრძოლოთ, რომ საბოლოოდ მოედოს ბოლო ნაციონალეზის პარპაშს.

„ნაციონალიზმისგან“ საფრთხე აღარ იქნებოდა, „ქართული ოცნების“ კოპაბიტანტებს ისინი ჯერ საფრთხობელად რომ არ წარმოვიჩინათ და მერე მონსტრად არ გადაექციათ. შემდეგ ეს მონსტრი მთავრობაში შეიყვანეს „ნაციონალიზმის“ ლიდერების და აქტივისტების სახით, მათ გვერდით მიუსვეს „ნაციონალიზმის“ მმართველობის პარლამენტში დეპუტატად მყოფი ე.წ. ბიზნესმენები და არ ვიცო, გულუბრყვილობით თუ სხვა რამ მოსახრებით, შეეცადნენ სავლეს პავლევ გადაქცევას, მაგრამ არ გამოვიდა ეს და არც შეიძლება გამოსულიყო.

ამ მონსტრმა შიგნიდან გამოლრდა „ქართული ოცნება“.

არჩევნებზე შიგნიდან მოხდა

დალატი და სახელისუფლო რესურსის დაახლოებით, 15%-მა ხმა არ მისცა ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატს, „ნაციონალიზმიდან“ გადმოპოვებული უნდა გააკეთეს ეს.

მე არ ვერჩი „რუსთავი-2“-ს. იყოს ის ე.წ. თავისუფალი მედიის სახელით, მაგრამ „რუსთავი-2“ ვერაფერს დაგაკლებს, თუკი შენ, როგორც პარტია, ხალხთან იქნები.

2012 წელს „რუსთავი-2“-იც „ნაციონალიზმის“ იყო, უშიშროებაც, ჯარიც, ყველა რესურსის ისინი ფლობდნენ, მაგრამ წააგეს.

ძალიან მიკვირს, ძალიან — როგორ შეიძლება 2012 წლის განცდა დაევიწყებინათ „ქართული ოცნების“ მაშინდელ ლიდერებს, თანამებრძოლები, გულწრფელი ხალხი ვკვრდნენ გაეწიათ და შემოეყვანათ მოლაღატე ვიგინდარები.

— პირდაპირ ვეთიხარება, რას ფიქრობთ, რა უნდა გეკეთდეს — ციხის გარეთ დარჩენილი „ნაციონალიზმის“ აქტივისტებიც უნდა დაიჭირონ თუ?..

— გავეიმორებ: ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება პოზიტიური ნაბიჯია „ქართული ოცნებისთვის“, მაგრამ მას თუ არ მიეცა მოქმედების საშუალება და შესაბამისი პერეოგატივა, ის, როგორც პოლიტიკური ფიგურა, განუღდება. ღარიბაშვილი თუ პოლიტსაბჭოს ფიგურანტულ შეფასებებში მოექცა, მის ხელახალ მოსვლას აზრი დაეკარგება!

ღარიბაშვილმა უნდა შეძლოს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი პატიოსანი და თავდადებული ადამიანების შემოკრება, თუ უნდა გამარჯვება მასაც, „ქართულ ოცნებასაც“ და ჩვენს ქვეყანასაც. თუ ამასი ხელი შეუშალეს ზოგ-ზოგიერთებმა, რომლებმაც I ტური წააგებინეს „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილი ცაიტნოტში ჩააგდეს, კიდევ ვიმეორებ, მაშინ მის მოსვლას ყოველგვარი აზრი დაეკარგება.



მიუხედავად იმისა, რომ სახტად ვარ დარჩენილი, მე ვიყავი, ვარ და ვიქნები „ქართულ ოცნებაში“ და აქედან არსად ნასვლას არ ვაპირებ!

← 6 მმ.

გადაუღეს ჭუჭყურტანიდან, მოუგონეს ათასნაირი ჭორი და მართალი და ის 105-ვე დაბრუნებულია დღეს სამსახურში.

– მაგრამ „იბიარდი“ ხომ არ მოუგონიათ. ეს ხომ მართლა თქვით?

– ამ ამბიდან რამდენიმე დღით ადრე ეკა ხერხეულიძე გამოვიდა და თქვა: ქვეყნში იმით არ შეიკრება, „ოცნებელები“ იბიარდზე არიან წასულიო. ეს ნიშნავდა, ბოდიშით და სა...ოდ არიანო. მერე მე გამოვედი და გავიდალავ: შენ ოჯახს ვერ დამინგრევე, „იბიარდზე“ მე არ დავედივარ, ნაიბიარდები ქვეყანა თქვენ დაგვიტოვეთ-მეთქი.



მაშინ „ქართული ოცნების“ წევრები ამდგარიყვნენ და ეთქვათ: – ხერხეულიძე, შე ასეთი და ისეთი, რას გვკადრებთ „ოცნებელებსო“, გაჩუმდნენ. ნაცებმა კი ბი-ბი-სი-საც კი გადასცეს: მმართველმა გუნდმა იბიარდი და „ის“ აურიეს ერთმანეთშიო.

მერე ეშხარ კვიციანი იყო ერთ-ერთ შოუში მიწვეული. ვის სად დანიშნავდით, ასეთი კითხვა დაუსვეს. ეშხარმა უპასუხა: ფინანსთა მინისტრი შერჩეული მეყავს, სოსო ჯაჭვლიანი უნდა იყოს მინისტრი, იბიარდის საკითხებში ერკვევაო. რატომ თქვა ეს ეშხარმა, იმ შოუში ვერ ახსნა, ამიტომ მე აუხსნი ახლა: 27 მილიონი დოლარი დახარჯა სახელმწიფომ, რომ ხალხს გაეგო, რა არის იბიარდი. მე ერთი წინადადება ვთქვი პარლამენტში და მთელი საქართველო დაინტერესდა, რა იყო იბიარდი. ამხელა საქმე გააკეთე მე. (იცინის.) გამოდის, რომ მე ვარ ნაღდად ეკონომისტი, ფინანსების მცოდნე და დამზოგავი. ეშხარი საყვარელი კაცია და მეც მაქვს მისთვის თანამდებობა შერჩეული. რამდენიმე დღის წინ ის გამოვიდა წველებების დაოჯახების ხელშეწყობის ინციპტივით, შევეკრებულე ხელშეწყობა და ა. შ. -ო, ფონდით და სხვ. გურამ ფორცხლავას ყველა ვიცნობდი. კინოსტუდიაში ბატონ გურამს განსწილი ჰქონდა ჩინურების აკადემია. პრეზიდენტი იყო თვითონ. მოგესხენებათ, ბატონი გურამის გარდაცვალების მერე ეს

თანამდებობა ვაკანტურია. მე ვაყენებ ეშხარ კვიციანის კანდიდატურას – ეშხარ კვიციანი ჩინურების აკადემიის პრეზიდენტად!

– წინააღმდეგი რომ წავიდეს?

– არა, კაცო, რატომ?

– კარგი. ბატონო სოსო, შურნალი გიღვეთ წინ, ალბათ, რაიმეს საილუსტრაციოდ, ჩემთვის. რა შურნალია ეს?

– ეს შურნალი გამოუცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და არის 2014 წლამდე პარლამენტის საქმიანობის შეფასება. ჩატარებულა გამოკითხვები სამ ნომინაციაში, მოხდა 75 დეპუტატის საქმიანობის შეფასება და სამივე ნომინაციაში პირველ ადგილზე გავსულვარ. რა-

– რომ ამბობენ, კოპაბიტაციას და წინა რეჟიმთან თანამშრომლობაში ვიყოთო. მე არავისთან შეესულვარ კოპაბიტაციაში, მაგრამ საქმე სხვაგვარადაა: დავუშვათ, მე მაქვს კომპრომატები თქვენზე და თქვენც გაქვთ კომპრომატები ჩემზე. მოვილაპარაკებო, რომ ვაგინოთ ერთმანეთს, ოღონდ გარკვეულ კონდიციამდე.

მახსოვს, პარლამენტში რომ მოიტანეს ფარული კადრები საჩვენებლად, ავდექი და მე და ვიქტორ ჯაფარიძე წამოვედით, თუმცა მე მომხრე ვიყავი, რომ ეს კადრები არ განადგურებულიყო. სანამ დარბაზს დავეტოვებდი, იყო ჩოჩილი და ერთი ამბავი და ნუკრი ქანთარია უთხრა შს მინისტრის მოადგილეს:



სიბოხის ფასად რომ დაგვიჯდეს, ვერ მოვლენ „ნაცები“ ხელისუფლებაში!

← 7 მმ.

ჩვენი, „2012-იანელების“ მხრიდან, ჩვენ, უახლოეს ხანებში, დავანახებთ ბატონ ირაკლის იმ ძალას, რომელიც მისთვის საიმედო იქნება, „ქართული ოცნების“ შიდა პარტიული სტრუქტურისა და მისი ადმინისტრაციული თუ პარტიული რესურსების გარდა. თუ არც ამის დანახვა მოუნდება ვინმეს, ჩვენ მაინც გავაგრძელებთ ბრძოლას ნაციონალების წინააღმდეგ და სისხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ვერ მოვლენ ისინი ხელისუფლებაში.

– ბატონო მერაბ, 2012-იანელები არ იყვნენ ის პარლამენტარები, რომლებმაც სულ ახლახან „ქართული ოცნების“ რიგები დატოვეს? როგორ მოხდება ხელშეწყობა თქვენი აზრით?

– კი, 2012 წელს ჩვენთან ერთად იბრძოდნენ, მაგრამ „2012-იანელების“ იდეოლოგიურ წიაღში მე მათ არ მოვიპოვებ, რადგან ისინი, როგორც „ქართული ოცნების“ სხვა დეპუტატები, 2012 წლიდან ორგზის გახდნენ დეპუტატები, მაგრამ ჩვენსკენ, ხალხისკენ ერთხელაც არ გამოუხედავთ.

სამწუხარო ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ საპარლამენტო და სამოხელეო ფიგურებს არჩევდა იმ ნიშნით, რა დამოკიდებულება ექნებოდათ მათ „ნაციონარობის“ მიმართ.

წასულთაგან ბევრი ჩემი მეგობარია, მაგრამ მათ თავიანთი გზა აქვთ.

იმასხურეს კარგად, თუმცა მოხდა პარტიული გათიშულობა. დარწმუნებული ვარ, ისინი მუდმივად იქნებიან „ნაციონარობის“ მოწინააღმდეგეები, მაგრამ მათ აქვთ თავიანთი მიმართულებები, ჩვენ, ე.წ. ძველი გვარია კი ვართ ის ხალხი, რომლებიც, რატომღაც სრულიად იგნორირებულნი დავრჩით და პროცესებს მიღმა დავგავყენეს. თითქოსდა, გავცვალეს „ნაციონარობის“ ფარისევალ პორტირებულებზე, სამკვიდრო-საინციფო ბრძოლის დროს ბუჩქნარში შეყუჟულებზე, რომლებიც ახლა იწონებენ თავს

და „ჩვენ“, „ქართული ოცნება“ო, გაიძახიან. ესენი სასაცილოდაც არ ყოფნის არც ხალხს, არც ჩვენ, ნამდვილ 2012-იანელებს.

– კონკრეტულად ვისზე ლაპარაკობთ?

– პერსონალების ჩამოთვლას არ დავიწყებ. ყველამ იცის, ვინ ვინ არის.

როცა მე, ლუკა კურტანიძე და სოსო ჯაჭვლიანი ქარსა და ქარაშოტში, 80 სმ თოვლს ჯაჭვებით მოვაპობდით ქუთაისიდან, თავი დავედეთ სასწორზე, ერთი კაცი არ გამოგვეყოლია. თბილისში რომ შემოვედით, როცა გაიგეს, რომ ბერა ივანიშვილი დაგეზვდებოდა, ნელ-ნელა შემოგვეტანსნენ და მერე თანამდებობებზეც შემოსკუპდნენ.

სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, თქვენი გაზეთი გვედგა მაშინ გვერდით და ლაშა ნადარეიშვილის „ასაგალ-დასაგალი“.

სახელს არ დავასახელებ, „ქართული ოცნების“ ერთმა წარმომადგენელმა პარტიის ოფისში ამასწინათ ამაყად განმიცხნა: მეც 2012-იანელი ვარო. მწარედ გამეცინა მაშინ, რადგან ის ადამიანი თანამდებობაზეა, ყველა მატერიალური სიკეთით სარგებლობს და არის ფუფუნებაში. მან და მისნაირებმა წააგეს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების I ტური.

კი, ბატონო, იყვნენ ისინი 2012 წელს ჩვენ გვერდით, მაგრამ მათ ეს გამარჯვება ხელიდან გაუშვეს და ჩვენ, უბრალო ხალხს, მებრძოლებს, წილი ამაში არ გვიდევს. არც 2018 წლის არჩევნების I ტურის მარცხზე ვიღებთ პასუხისმგებლობას.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები, რაც მან ბოლო დღეებში გააკეთა, სწორედ იმას მოწმობს, რომ არასწორმა დამოკიდებულებამ საკუთარი მომხრეების მიმართ და სხვა ბერმა მცდარმა ნაბიჯმა განაპირობა არასახარბიელო ვითარება „ქართულ ოცნებაში“ და ახლა არის სწორედ საჭირო 2012 წლის განცდის გაღვივება, შეტევა და 2020 წელს 2012 წლის გამარჯვების განმეორება.

ირანდა პალანდაძე
593 56 11 18

ირანდა პალანდაძე
593 56 11 18

„უკვდავთა“ აკადემია — ასე უწოდებენ საფრანგეთის აკადემიას. იმისათვის, რომ მივხედოთ, თუ როგორია ამ გაერთიანების როლი და ადგილი, უნდა აღინიშნოს:

რომ ბალზაკმა ვერ მოახერხა გამხდარიყო საფრანგეთის აკადემიის წევრი;

რომ ზოლა ბევრითაა აკაკუნებდა მის კარზე, მაგრამ ამაოდ;

რომ ჰიუგომ მხოლოდ რამდენიმე მცდელობის შემდეგ მიაღწია სასურველ შედეგს.

საფრანგეთის აკადემია, როგორც მას უწოდებენ, ორმოცი „უკვდავის“ ელიტური კლუბია. ვინც იქ მოხვდება, სიკვდილამდე იქ რჩება.

პარიზში გაიმართა აკადემიის ახალი წევრების არჩევის ცერემონია. ახლა ისინი კვლავ ორმოცნი არიან. ბევრი სახელგანთქმული ფრანგი მწერალი, მათი დიდი მოწადინების მიუხედავად, ვერა და ვერ გახდა ამ „კლუბის“ წევრი. აკადემიის მთავარი დანიშნულებაა: „თვალყური ადევნოს ფრანგული ენის განვითარებას, დააფიქსიროს მისი მდგომარეობა ყოველ მოცემულ მომენტში და დაადგინოს ენის ნორმები“. თითქოს ლოგიკური იქ-

ნენთან იგივე ხდება, რაც საზოგადოებაში, თვითონ საზოგადოება კი ჩინშია მომწვედელია“, — განმარტავს „უკვდავთაგან“ ერთ-ერთი, ლიბანი დაბადებული ფრანგი მწერალი ამინ მაალუფი.

„უკვდავთა“ აკადემია 1643 წელს კარდინალმა რიშელიემ დააარსა იმისათვის, რომ პროპაგანდა გაეწია ფრანგული ენისთვის და დაეცვა იგი. „აკადემია — ეს არის მოხუცი ლედი, თანაც მეტად მგრძობიარე“, — ამბობს მწერალი დენი ლაფარჟი.

აკადემიის შემადგენლობაში ძირითადად თეთრკანიანი მამაკაცები არიან, მათ შორის ხუთი — ქალია. ერთადერთი დენი ლაფარჟია ფერადკანიანი. ფრანგული მედიის დაანგარიშებით, აკადემიკოსთა საშუალო ასაკი 70 წელზე მეტია.

ამჟამად ძნელია დადგენა იმისა, რამდენად სურს აკადემიას ცვლილებები და დივერსიფიცი-



„უკვდავთა“ აკადემია



ნებოდა გვეფიქრა, რომ აკადემიის წევრები ლიტერატორები და ლინგვისტი ფილოლოგები უნდა იყვნენ, მაგრამ მათ შორის არიან დრამატურგები, ფილოსოფოსები, ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლები, სახელმწიფო მოღვაწეები და სამხედროებიც კი. აკადემია მტკიცედ დგას მშობლიური ენის სადარაჯოზე. უპირველეს ყოვლისა, მისი ამოცანაა დაიცვას ენა გლობალური ენობრივი ექსპანსიისგან, კონკრეტულად კი — ანგლოამერიკანისებების საფრთხისგან. საფრთხე კი, მართლაც, რეალურია. ლინგვისტი კლოდ აჟემი ამბობს, რომ „საჭიროა შეუპოვარი მოქმედება, ყოველგვარი კომპლექსების გარეშე“.

2018 წლის დეკემბერში ოთხი ვაკანსია გაჩნდა. ხმის მიცემის პროცედურები იანვრის ბოლოს გაიმართა, მაგრამ ხმების უმრავლესობა, სამი მცდელობის მიუხედავად, ვერაგინ მიიღო.

ზოგიერთი წევრის შეფასებით, აკადემია ისეთსავე ჩინშია მოქცეული, როგორმაც თვითონ ფრანგული ენა, რომელსაც, ერთი მხრივ, სურს შეინარჩუნოს თავისი ორიგინალობა, მეორე მხრივ კი — დანებდეს გლობალიზაციას.

რება. უკვე 90 წელია, მისი წევრები სხდომებს მართავენ მანარინის სასახლის სამლოცველოს გუმბათის ქვეშ. ახლა ამ შენობაში საფრანგეთის ინსტიტუტია განთავსებული. აკადემია წევრობის მაძიებლებს ტყავს აძრობს, საკმაოდ უხეშად ექცევა. მაგალითად, ახლანაჲ უარი უთხრეს საფრანგეთის ახალგაზრდულ საქმეთა და განათლების ყოფილ მინისტრს, ფილოსოფ ლიუკ ფერის.

შემადგენლობის განახლების გარდა, აკადემიის მოვალეობაა, დრო და დრო განაახლოს „ფრანგული ენის ლექსიკონი“. ამით იგი დაკავებულია მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მომზადდა და გამოიცა ფრანგული ენის პირველი აკადემიური ლექსიკონი. სულ მალე ლექსიკონის ცხრატომეული გამოვა. აკადემიის მუშაობის შედეგები იბეჭდება როგორც ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტები. წინა კვირას აკადემიის წევრები ზოგიერთი სიტყვის ფემინინაციას დათანხმდნენ. და ეს თითქმის რევოლუციის ტოლფასად შეფასდა. „უკვდავები“ იძულებული არიან, შეეგუონ ფრანგული ენის ცვლილებებს, რომლებიც მათ მიღმა და მათი თანხმობის გარეშე ხდება.

„საკითხავია, უნდა დაიცვას თუ არა აკადემიამ თავისი პრინციპები“, — ორჭოფულად ამბობს ლაფარჟი. — თუ არ დავიცავთ, მაშინ ყველა ვაკანტურ ადგილს თუნდაც ზვალვე შევავსებ თ. ასეთი რამ, ცხადია, არ მოხდება. შენ ხომ არ ირჩევ აკადემიას, პირიქით, აკადემია გირჩევს“.

მიუხედავად ამისა, ვერაგინ გახდება აკადემიის წევრი, თუ არ დაწერს წერილს ამ ნაბიჯის დასაცავად და გასამართლებლად. ზოგიერთი თანამედროვე ფრანგი მწერალი, მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულებიც კი, საერთოდ არ ცდილობენ აკადემიის წევრობას. მაგალითად, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატები — პატრიკ მოდიანო და გუსტავ ლეკლეზიო არ არიან „უკვდავთა“ აკადემიის წევრები. არც მიშელ უელბეკი, არადა, იგი აღიარებულია ყველაზე გამოჩენილ თანამედროვე ევროპულ ნოველისტად. არ სურთ გარისკვა. ზოგიერთს აქეზებენ კიდევ, წევრი გახდით, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კანდიდატურა ჩააგდონ.

ისეთებიც არსებობენ, რომლებიც ყოველივე ამას ფრანგული ენისა და მთელი ფრანგული სა-

ზოგადოების კრიზისად აღიქვამენ. ეს ხომ აბსურდია. ჩნდება კითხვა, რა ვითარებას ასახავს ჩიხი, მით უმეტეს, რომ ეს ჩიხი ეხება საფრანგეთს, რომელსაც ყოველი მხრიდან ანგლოამერიკული ლიტერატურა უტევს.

„საფრანგეთისთვის რა იყო დამახასიათებელი? ის, რომ მის ლიტერატურაში ყველა თავის თავს ხედავდა“, — წუხს ჟან-მარი რუარი, კრიტიკოსი და ნოველისტი, რომელიც „უკვდავთა“ არიგებს 1997 წლიდან შეუერთდა. — ახლა იძულებული ხარ წერო ხან ერთი ჯგუფისთვის, ხან — მეორისთვის, ხან ერთი უნივერსიტეტისთვის და ხანაც — სხვა უმაღლესი სასწავლებლისთვის. დღესდღეობით ხალხი უფრო მეტს კითხულობს, მაგრამ საკითხავია, რას? ამ იდიოტურ ნაჯდაბნებს... და აკადემიაც დამშრალი ზღვის ფსკერზე დარჩენილ ნავს ემსგავსება“.

აი, რას ამბობს ფრანგული ენის პროგრესის შესახებ დომენიკ ბონი, „უკვდავთა“ აკადემიის წარმომადგენელი ერთ-ერთი ქალი: „გვეყვავა ბევრი შესანიშნავი კანდიდატი, რომელთაგან შეიძლება დირჩეულთა შერჩევა. გაოცებული ვარ, რატომ შეაქცია აკადემიამ მათ ზურგი? ეს რა, ფრანგული ახირებაა?“

უნდა აღინიშნოს, რომ „უკვდავთა“ აკადემიაში გამეფებული სამყარო საკმაოდ შორს არის თანამედროვე საფრანგეთისგან, სადაც მძლავრობენ ეგრეთ წოდებული „ვეითელი ფილტვები“, პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში აჯანყებებს რომ აწყოებენ.

გასულ თვეს აკადემიის წევრები ჩამწვრივდნენ საფრანგეთის ინსტიტუტის კიბეზე იმისათვის, რომ გამოეხატათ თავიანთი ზიზღი „ვეითელი ფილტვების“ მიმართ. მეორე მხრივ კი, „უკვდავებმა“ თავიანთ რიგებში მისაღებად ხმა მისცეს მწერალ პატრიკ გრენვილს. მას ერგო ადგილი, რომელსაც მანამდე შურნალისტი, ისტორიკოსი და მწერალი ალენ დეკო იკავებდა. იგი 2016 წელს გარდაიცვალა. აკადემია, თავისი რომელიმე წევრის გარდაც-

ვალების შემდეგ, ტრადიციისამებრ, მთელი წელიწადი ელოდება, რომ ვაკანსია შეავსოს. და თუ კანდიდატი ხმების უმრავლესობას მიიღებს, მას მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაამტკიცებენ. თავად გრენვილი 2018 წლის მარტში პარიზის საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ვალერი ჟისკარ დესტენმა, რომელიც ახლა 93 წლისაა, „უკვდავის“ სეკრეტული 2003 წელს დაიკავა.

სადღესასწაულ ღონისძიებებზე „უკვდავები“ ყურადღებას იპყრობენ თავიანთი ორიგინალური სამოსით — საველიოანი ფრაკითა და დიდი ლაცკანებით, რომლებზეც დაფნის ფოთლებია ამოქარგული. სხვათა შორის, ეს ფორმა ჯერ კიდევ ნაპოლეონმა დაამტკიცა. ასეთი ტანსაცმელი საკმაოდ ძვირი ჯდება — დაახლოებით 50 ათასი დოლარი. გარდა ამისა, აკადემიკოსმა უნდა ატაროს სამკუთხა ქუდი და დაშმა. ასე რომ, ბატონ ამინ მაალუფს თავისი ფორმისთვის 230 ათასი დოლარის გადაება მოუხდა.

აკადემიის ახალი წევრების არჩევის ცერემონიაზე არ იგრძნობოდა თანამედროვეობის გავლენა, რაც პირდაპირი მნიშვნელობით საფრანგეთს ნაწილებად ჰყოფს. სხვა ცერემონიებისა და მოძველებული ფრანგული ინსტიტუციების მსგავსად, აკადემია თითქოს ამართლებს თავის დანიშნულებას. ყოველივე ეს მას უნიკალურ ეროვნულ სტატუსს ანიჭებს.

ასეთი უჩვეულო ფორმა და გასაოცარი მისია არ არის იმის გარანტია, რომ აკადემია წარუმატებლობებს თავს არიდებს. ზოგიერთს პესიმისტური განწყობილებები ისე მოეძალა, რომ აღარ კი სჯერა, შეძლებს კი აკადემია დაიცვას საკუთარი ღირსება, არათუ დიდებული ფრანგული ენა. სპეციალისტთა შეფასებით, მალე ის დროც დადგება, როცა დედამიწაზე არსებული ენობრივი მრავალფეროვნებისგან, დიდი-დიდი, ორმოცდაათამდე ენა დარჩება.

მელორ სტურუა მინეაპოლისი

ვენესუელა და ჩრდ. კორეა... ტრამპის გავლით

ვენესუელაში გასულ კვირას განვითარებულ მოვლენებს თავისუფლად შეიძლება კოლაფსი ვუწოდოთ — მთელ ქვეყანაში ერთბაშად შეწყდა ელექტროენერჯის მიწოდება! მსგავსი შემთხვევა, ისიც მშვიდობიან პერიოდში, თანამედროვე მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, როდესაც წყვედიად მოიცვა მთელი ქვეყანა. მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდა ვენესუელის ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება — ელექტროსადგურის გამომწვია ქვეყნის ჩაბნელება. მოვლენამ თავდაპირველად მოსახლეობა დააბნია, ვერ გაიგეს, რა მოხდა. შეწყდა აეროპორტების მუშაობა, გაჩერდა მეტრო, საავადმყოფოებში ექიმებს სანთლის შუქზე მოუხდათ ოპერაციების ჩატარება. ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, მხოლოდ კარაკასის საავადმყოფოებში 15 ახალშობილი ბავშვია დაღუპული; გარდაიცვალა რამდენიმე ავადმყოფი, რომლებიც სპეციალურ სამედიცინო აპარატურაზე იყვნენ მიერთებული.

შექმნილი საგანგებო ვითარება მოულოდნელი აღმოჩნდა ქვეყნის ხელისუფლებისთვისაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოვლენას მო-

ლოდართი დააჯილდოვეს. ენერგეტიკულმა კრიზისმა დიპლომატიური კორპუსის დასახლებაში შეაღწია. ადგილობრივი პრესა იუწყება, რომ ოპოზიციონერებმა ერთ-ერთი ენერგობლოკი ააფეთქეს და ამიტომაც ფერხდება ელექტროენერჯის მიწოდების სრულად აღდგენა. მიღებული ზომების მიუხედავად, დღემდე შეფერხებით მუშაობს ტრანსპორტი, აეროპორტები, კავშირგაბმულობა. მოსახლეობა გენერატორებისთვის ბენზინს იმარაგებს, რომლის ფასიც უცებ გაიზარდა. შედარებისთვის, უშუქობამდე მსუბუქი ავტომანქანის ავზის (დაახლოებით 70 ლირამდე) გაყვება მძღოლს 2-3 ცენტი უჯდება, ახლა 15 ცენტი გახდა.

ექსპერტების ნაწილი მადუროს ბრალდებას აშშ-ის მხრიდან განხორციელებული კიბერშეტევების შესახებ, ეჭვით უყურებს. მათი აზრით, ავარია მოპყვებული ინფრასტრუქტურის მიზეზით მოხდა. ამის გარდა, აღნიშნავენ, რომ კიბერშეტევას დიდი რესურსები, მათ შორის, ადამიანურიც, სჭირდება, რაც დღეს მსოფლიოში სრულყოფილად არავის აქვს. თუმცა არიან



რუნდა ვენესუელაში, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნების (მათ შორის ვეროკუპირის) დიპლომატები აცილებდნენ. გუაიდომ უპრობლემოდ დატოვა აეროპორტი, არავის უფიქრია მისი დაკავება. პოლილოგების შეფასებით, მადურომ არ გადადგა რადიკალური ნაბიჯი, რითიც თავიდან აიცილა ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება, რასაც ოპოზიცია თავისი მიზნის მისაღწევად გამოიყენებს.

ტები საეჭვოდ მიიჩნევენ გუაიდოს დაბრუნების შემდეგ, ორ დღეში მომხდარ ავარიას. აცხადებენ, რომ სწორედ მის სასარგებლოდ განხორციელდა კიბერშეტევა. როგორ დასრულდება ვენესუელაში ჯერ კიდევ არსებული კრიზისი, სავარაუდოდ, ამ დღეებში გამოჩნდება.

აშშ-ში გაიმართა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის პოლ მანაპორტის სასამართლო პროცესი, რომელსაც 4 წელი პატიმრობა მიუსაჯეს, ნაცვლად 24-ისა, იმ შემთხვევაში, თუ დაუმტკიცდებოდა რუსეთთან თანამშრომლობა. სასამართლომ არ გაითვალისწინა ბრალდების არგუმენტები მანაპორტის რუსეთთან კავშირის და მხოლოდ ფინანსური მაქინაციებისთვის მიუსაჯეს სასჯელი. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ სპეცპროკურორ მიუღერის ორწლიანი მცდელობა, როგორმე დაამტკიცოს ტრამპის რუსეთთან კავშირი, წარუმატებელია. მანაპორტისთვის გამოტანილი განაჩენი ექსპერტებმა მიუღერის დამარცხებად აღიარეს. ახლა მანაპორტს მეორე სასამართლო პროცესი ელის, სადაც მას ცრუ

გავსლა დასახელდა, მაგრამ ექსპერტების განცხადებით, კონგრესი ეცდება ტრამპის ნებისმიერი წამოწყების დაბლოკვას.

ვიეტნამში კიმ ჩინ ინთან ფაქტობრივად წარუმატებელი შეხვედრის შემდეგ დონალდ ტრამპი ოპტიმისტურად იყო განწყობილი. იგი იმასაც აცხადებდა, კარგი ურთიერთობა შევინარჩუნეთო. გასულ კვირას აშშ-ის პრესაში გავრცელდა ტრამპისთვის უსიამოვნო ინფორმაცია. როგორც ირკვევა, ჩრდილოეთ კორეაში კვლავ განაახლეს ბირთვულ იარაღზე მუშაობა. ამის გარდა, კორეელებს უკვე გაუქმებული პოლიგონის აღდგენა დაუწყიათ. ინფორმაცია აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოშიც დაადასტურეს. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ მიღებული ინფორმაციის შემდეგ მკაცრად გააფრთხილა ჩრდილოეთი კორეა, არ განაახლონ ბირთვულ იარაღზე მუშაობა. თავის მხრივ, კორეელებმა უპასუხეს, რომ მათი მცდელობის მიუხედავად, აშშ-მ სანქციები არათუ მოუხსნა, არც კი შეარბილა და არც უსაფრთხოების გარანტია მიუცია მათთვის. ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აშშ-ის მხარეს ისიც განუცხადა, ხომ გაფრთხილებდით, ურთიერთობის დარეგულირების ასეთი კარგი შანსი შესაძლოა აღარც ყოფილიყო. იმასაც ამბობენ, რომ კორეელები ბირთვულ იარაღზე მუშაობას ტრამპი-კიმ ჩინ შეხვედრის დროსაც აგრძელებდნენ.



სახლეობაში პანიკა არ გამოუწვევია. ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ მომხდარი შემთხვევა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ქვეყანაზე განხორციელებულ დივერსიად შეაფასა. მისი განცხადებით, აშშ-მა ოპოზიციის დახმარებით ვენესუელაზე კიბერშეტევა განახორციელა. მადუროს უპასუხა ელიოს აბრამსმა, აშშ-ის წარმომადგენელმა ვენესუელის საკითხებში და უარყო აშშ-ის კიბერშეტევა. მისივე განცხადებით, პეისი გაჩერდა მოქმედ ხელისუფლებაზე განაწილებულმა თანამშრომლებმა განახორციელეს. თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია ვენესუელაში სახელმწიფო გადატრიალების შემოქმედებს მილიარდი

ექსპერტები, მათ შორის აშშ-ის წარმომადგენლები, რომელთა განცხადებით, მსოფლიოში უკვე რამდენიმე წელია, მიმდინარეობს მცირემასშტაბიანი კიბერშეტევები. ამბობენ, რომ ვენესუელაში კი ფართომასშტაბიანი კიბერშეტევების ექსპერიმენტი განახორციელა აშშ-მა. ამასობაში კი, გავრცელებული ინფორმაციით, ვენესუელა ამირებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უჩივლოს აშშ-ს კიბერშეტევების გამო. მანამდე ენერგობლოკების დაცვას ვენესუელის არმია განახორციელებს.

უმაღლესი სასამართლოს ვერდიქტის დარღვევისთვის საშობლოში დაბრუნებულ თვითმარქვია ხუან გუაიდოს დაპატიმრებას მოელოდნენ. იგი მართლაც დაბ-



ენერგოსისტემის სავალალო მდგომარეობის გამო გუაიდომ მოქმედი ხელისუფლება დააანაშაულა და მომხრეები კვლავ გამოიყვანა ქუჩაში. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, გუაიდოს მხარდამჭერთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. ამიტომაც დაანონსა გუაიდომ ქვეყნის შემოვლა, რათა მომხრეები კარაკასში სპროტესტო აქციების გასამართად ჩაიყვანოს. თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა მოქმედ პრეზიდენტს ემხრობა, მიუხედავად ენერგოკრიზისისა. ამასთან, გუაიდომ ვერ შეძლო არმიის მიმხრობა. ექსპერ-

ჩვენების მიცემისთვის მოუწვევს პასუხისმგება.

სამხედრო ბიუჯეტი აშშ-ში გაიხდა 750 მილიარდი უნდა გახდეს, ასეთია ტრამპის გეგმა. აქედან 200 მილიარდი სხვადასხვა ქვეყნების შეარაღებისთვის იქნება გაწერილი. დაამტკიცებს თუ არა კონგრესი ასეთი ბიუჯეტი, უცნობია. გასულ კვირას კონგრესმა დაბლოკა ტრამპის იდეა, ქვეყანაში დაეწყო ახალი ტიპის საბრძოლო რაკეტების შექმნაზე მუშაობა. მიზეზად აშშ-ის მცირე და საშუალო მანძილის რადიუსის რაკეტების შეზღუდვის ხელშეკრულებიდან

ბია ბურდული
551 71 27 07

სუპერრასა ათელი მსოფლიოს დაიძინებას აპირებს?

„ცრუ ვეროპის ლიდერები შეპყრობილები არიან გარდაუვალი პროპრესუს ცრურწმენით. მათ სჯერათ, რომ ისტორია მათ მხარესაა და ამ რწმენამ ისინი ამპარტანებით აღავსო, მათ არ შეუძლიათ, გააცნობიერონ ხარვეზები პოსტ-ნაციონალურ, პოსტ-კულტურულ მსოფლიოში, რომელსაც თავად აშენებენ. მეტიც, მათ არაფერი იციან ადამიანური ღირსების ნამდვილი წყაროების შესახებ, რასაც ისინი ასე აფასებენ, როგორც ჩვენ. ისინი ევროპის ქრისტიანულ ფესვებსაც კი უგულვებელყოფენ. ამავე დროს, ისინი დიდ სიფრთხილეს იჩენენ, რომ შეუარცხეოფა არ მიაყენონ მუსლიმებს, რომლებიც, მათი წარმოდგენით, სიხარულით მიიღებენ მათ სეკულარულ, მულტიკულტურულ შეხედულებებს. ჩვენ ჩინში შევდივარ თ. ევროპის მომავლისთვის ნამდვილი საფრთხე არც რუსული ავანტიურნიზმი და არც მუსლიმური იმიგრაციაა. ნამდვილი ევროპა საფრთხის წინაშეა სულისშემხუთველი ხელის გამო, რომლითაც ვალბ ევროპას ჩვენი ცნობიერება უჭირავს. ჩვენი ერები და საერთო კულტურა იმღეობა ჩვენს აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებული ილუზიებით“, — ეს სიტყვები წერია პარიზის დეკლარაციის ტექსტში, რომელიც 2017 წლის ბოლოს მიიღეს და ევროპული ქვეყნის ცამეტი მეცნიერი აწერს ხელს, მათ შორის ფრანგი ფილოსოფოსები ფილიპ ბენეტონი და რემი ბრაგი, ბრიტანელი ფილოსოფოსი როჯერ სკრატონი, გერმანელი რობერტ შპემანი და სხვები... ტექსტის ავტორები აღნიშნავენ, რომ „ცრუ ევროპის“ წარმომადგენლები ახშობენ ყოველგვარ განსხვავებულ აზროვნებას და ამას თავისუფლებისა და ტოლერანტობის სახელით აკეთებენ. დოკუმენტის ავტორები მიიჩნევენ, რომ საჭიროა ნამდვილი ლიბერალიზმისა და მორალური

კულტურის აღდგენა. მათი აზრით, მხოლოდ იმპერია შეიძლება იყოს მულტიკულტურული. ამასთან, პარიზის დეკლარაციის ავტორები განათლების რეფორმის ჩატარებას ითხოვენ, ქორწინებას კი სამოქალაქო საზოგადოების ქვაკუთხედად და ქალსა და მამაკაცს შორის პარმონიის საფუძვლად მიიჩნევენ. ტექსტის ავტორები მოუწოდებენ ევროპელებს, შეუერთდნენ მათ და უარი უთხრან „საზღვრების გარეშე მულტიკულტურული სამყაროს უტოპიურ ფანტაზიას“.

მიხეილ შოჭრუა (ფრანგი პროფესორი): არაფერი მაქვს სიმდიდრის საწინააღმდეგო, მე მაგრამ ისინი არ უნდა გამდიდრდნენ სხვათა გადატაკებით. არადა სწორედ ამას აკეთებს დღეს მსოფლიო სუპერ-კლასი იმით რომ ამკვიდრებს სამუშაოთა მომსპობ მონდიალისტურ თავისუფალ ვაჭრობას. მე არაფერი მაქვს სიმდიდრის წინააღმდეგ, მაგრამ მდიდრებს არ უნდა უნდოდეთ თავისუფლების მოკლა. არადა ამ მსოფლიო სუპერ-კლასს აქვს სწორედ თავისუფლების მკვლეელი გეგმა. ესაა მსოფლიო მთავრობის შექმნის პროექტი მსოფლიო მთავრობა კი არის დემოკრატიულად არჩეულ მთავრობათა დამორჩილება ამ მსოფლიო სუპერ-კლასის მიერ, ხალხთა დამონება იმ ეკონომიკური და ფინანსური ძალების მიერ რომელთაც უნდათ ჩვენი ბედის განსაზღვრა. ევროკავშირის მთლიან შიდა პროდუქტს. დღეს მსოფლიოს სუპერკლასი ყიდულობს დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას. ჟურნალ-გაზეთები და რადიო-ტელევიზია ეწევიან ამ ხალხის თვალსაზრისის პროპაგანდას. ნორმალურია როდესაც საწარმოები ცდილობენ გაძლიერებას და გამდიდრებას, მოგების გაზრდას. არანორმალურია, როდესაც კერძო, პირადი ინტერესები, იმორჩილებენ და არავითარ ყურადღებას




არ აქცევენ ან იმონებენ, საზოგადოებრივ, ეროვნულ ინტერესებს. ამის უკან არის პრივატიზაციის უზომო პროცესი და ხდება სუვერენული ფუნქციების პრივატიზაცია. აშშ-ში მოახდინეს, დაზვერვის და შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილის პრივატიზაცია. ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან და უმთავრეს რამედ ითვლება ეკონომიკური და ფინანსური ინტერესები, მაგრამ ესაა მარტო დასავლეთის დამახასიათებელი ნიშანი. სხვაგან მთავარია საზოგადოებრივი, სოციალური და პოლიტიკური ინტერესები. ინტერნეტის გიგანტებმა მოსპეს, გააუქმეს ინტერნეტის ნეიტრალობის ფუნდამენტური პრინციპი და შექმნეს მათ მიერ დისიდენტურად ჩათვლილი შეხედულებების ცენზურის სისტემები. ესაა, კერძო ცენზურები და შეუძლებელია ჩივილი. მარკ ცუკერბერგს შეუძლია ურცხვად ტყუილების ლაპარაკი პარლამენტის წინაშე იმის ახსნით,

რომ ისაა ყველა შეხედულების თავისუფლად გაერცხვების მომხრე. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ რომელიღაც პარტია არჩევებზე წარდგეს როგორც მსოფლიო მთავრობის პარტია. მაშინ ამომრჩევლები გადაწყვეტენ მისცენ თუ არა ხმა ამ პარტიას, მაგრამ ამ ხალხს არ უნდა დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირება. ისინი აძალებენ საზოგადოებას მოძრაობას მათი ეკონომიკური და იდეოლოგიური ინტერესების შესაბამისად. ამ ადამიანების პროექტია განახლებული კოსმოპოლიტიზმი ანუ ერების ნგრევა-მოსპობა მათი მსოფლიო მთავრობის შექმნის მიზნით. მაშ, ესაა ანგლო-საქსური ხედვა. რომელიც, დაამალეს დასავლელებს. ხედვა, რომლის თანახმადაც ნორმალურია როდესაც ეკონომიკური ინტერესები, თავისი მიზნის მისაღწევად ზეწოლას ახდენენ პოლიტიკურ ინტერესებზე და პოლიტიკოსებზე. ყველა, საზოგადოებაში არიან დარბები და მდიდრები, მაგრამ მსოფლიო სუპერ-კლასი სხვა რამეა. მსოფლიო სუპერ-კლასი ცნების. სოციოლოგიური მნიშვნელობით არის ის რომლის წევრებსაც ერთმანეთთან უფრო მეტი აქვთ საერთო ვიდრე მათ საწყის ერებთან. მაროკოელი ბურჟუები ალბათ ბურჟუები არიან, მაგრამ ისინი მაროკოელებად რჩებიან. სამაგიეროდ იტალიელი ოლიგარქი უზომოდ გავს ფრანგ, ინგლისელ და ამერიკელ ოლიგარქებს, ლაპარაკობს ინგლისურად და სულ უფრო და უფრო განსხვავდება სხვა იტალიელებსგან. ეს ოლიგარქები თვლიან რომ ისინი. არიან ყველა ხალხზე და ყველა სახელმწიფოზე უფრო მაღლა მდგომი სუპერ-რასა და ეს

მსოფლიო სუპერ-კლასი მსოფლიო იმიტომაა, რომ ტრანსნაციონალურია. ელიტები ყოველთვის იყო, მაგრამ ეს მსოფლიო სუპერ-კლასი თავს თვლის მსოფლიო ელიტად, მთელი კაცობრიობის ელიტად. ის არ თვლის თავს ეროვნულ ელიტად. მსოფლიოს სუპერ-კლასის ხალხს, ზოგი უწოდებს. მომთაბარეებს, ვინაიდან ესაა მომთაბარეული თვალსაზრისის ხელისუფლებასზე. ამ შეხედულებას იცავს ფრანსუა მიტერანდის ემანუელ მაკროდუ საფრანგეთის ყველა პრეზიდენტის მრჩეველი, ფილოსოფოსი, მწერალი, ბანკირი, ფინანსისტი თვითონ ალბათ მსოფლიო სუპერ-კლასის წევრი... **მიხეილ შოჭრუა** დეტალურად ხსნის ამ მსოფლმხედველობას და ამბობს მსოფლიოს სუპერ-კლასის წევრები ყველგან არიან საკუთარ სახლში. მაგრამ ესაა ადამიანთა უმცირესობის განსაკუთრებული აზრი. ადამიანთა უმრავლესობას არ უნდა ყველგან როგორც საკუთარ სახლში ყოფნა. ადამიანთა უმრავლესობას უნდა უბრალოდ საკუთარ სახლში ყოფნა. ისტორიაში პირველადაა სრულიად ტრანსნაციონალური კლასი. ეს ხალხი თვლის, რომ მათ თავიდან უნდა მოიშორონ ეროვნული ფესვები და ეროვნული კუთვნილება. ეს ხალხი საშიშია იმიტომ, რომ მათ უნდათ ჩვენ ბედნიერებაზე თავისი შეხედულების თავსმოხვევა, მაგრამ ისინი ვერაფერს გახედებიან იმიტომ რომ მსოფლიო მულტიპოლარული ხდება. თუმცა მსოფლიო სუპერ-კლასმა მოახერხა დასავლეთში, განსაკუთრებით ევროპაში გაბატონება.

მიხეილ შოჭრუა
599 52 60 30



ლალი ფსაკაძე: კლიმაქტერიული პერიოდი ნუ შეგაშინებთ, ის შეიძლება უფრო საინტერესო იყოს, ვიდრე ახალგაზრდული წლები

ვაბრძოლებთ რუბრიკას „საუპატიოსო ქართული მძიმეები“ გვესაუბრება იოსებ ჟორდანიას სახელობის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმი-რეპროდუქტოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, გინეკოლოგი, ქალბატონი ლალი ფსაკაძე.

ნალობას, საშვილოსნოს ყელის დაავადებების მკურნალობას და ა. შ. და ა. შ. ტარდება მამაკაცის შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებების, სხვადასხვა ენდოკრინული დარღვევების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ექოსკოპიური გამოკვლევები და სხვა.

— ქალბატონო ლალი, როგორც ცნობილია, უშვილობის

ითქვას, რომ წყვილებმა სპეციალიზირებულ რეპროდუქტიულ კლინიკას უნდა მიმართონ, რადგან სწორი მკურნალობის წინაპირობა არის ზუსტი დიაგნოსტიკა.

ჩვენი ინსტიტუტი, რომელსაც პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ ჩაუყარა საფუძველი, ამ კუთხით ლიდერია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით, ამ ინსტიტუტის განვითარებაში ლომის წილი აქვს შეტანილი ბატონ არჩილ ხომასურიძეს, რომელიც გახლავთ რეპროდუქტოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში და ყველა ინოვაციის ინიციატორი.

უშვილო წყვილებს შემოძლია ვუთხრა: დღეს, პრაქტიკულად, გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს და ყველა რესურსი არსებობს იმისთვის, რომ ოჯახს ჰყავდეს შვილი.

— ქალი მამაკაცთან შედარებით ფიზიკურად სუსტი არსებაა. ცხოვრების პირობები, ემოციები, სტრესი მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. განსაკუთრებით რთულია ქალბატონებისთვის ორგანიზმის ე.წ. კრიტიკული პერიოდის — კლიმაქსის სინდრომის შეგავლენა.



ნებისთვის ორგანიზმის ე.წ. კრიტიკული პერიოდის — კლიმაქსის სინდრომის შეგავლენა.

— კლიმაქტერიული პერიოდის კარდინალური მოვლენაა მენოპაუზა. ის, საშუალოდ, 49–51 წლის ასაკში დგება. ნორმალურად ითვლება მენოპაუზის განვითარება 45–55 წლის ასაკამდე. მენოპაუზის ასაკი მემკვიდრული თავისებურებით განისაზღვრება. მასზე არ ახდენს გავლენას კვების რეჟიმი, სოციალური პირობები და გარემო ფაქტორები.

ქალის ორგანიზმში კლიმაქტერიულ პერიოდში ესტროგენების დეფიციტის ფონზე განვითარებული ცვლილებები გაერთიანებულია კლიმაქტერიული სინდრომის სახელწოდებით.

მისი გამოვლინებებია: ალები — ცხელების შეგრძნება, სიწითლე, რომელიც სახის არეში, კისერსა და გულმკერდის ნაწილზე ვრცელდება, ოფლიანობა, გულისცემის აჩქარება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, არტერიული წნევის ლაბილობა, ხელ-ფეხის

დაბუყება, დეპრესიული მდგომარეობა, ალგზნებულობა, უძილობა.

რამდენადაც უსიამოვნო არ უნდა იყოს ჩივილები, ისინი ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს არ უქმნიან. გაცილებით მნიშვნელოვანია ისეთი ცვლილებები, რომლებიც ჰორმონების ხანგრძლივი დეფიციტის შედეგია და მენოპაუზიდან რამდენიმე წლის შემდეგ ვლინდება. ესენია: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და ოსტეოპოროზი. განსაკუთრებულ დისკომფორტს ქმნის შარდ-სასქესო სისტემის, კანისა და ლორწოვანის ატროფიული პროცესებით შექმნილი პრობლემები.

უნდა აღვნიშნო ერთი საინტერესო ფაქტი — გამზდარ ქალებს, ჭარბწონიანებთან შედარებით, მენოპაუზა უფრო მძიმედ გადააქვთ. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ცხიმოვანი ქსოვილი ესტროგენების დამატებითი წყაროა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მენოპაუზაში ქალბატონებმა ჭარბი წონა უნდა დააგროვონ. ადამიანს ყველაფერში ზომიერება სჭირდება.

მაგალითად, იაპონელ და ჩინელ ქალებს, რომელთა საკვები მდიდარია სოიოს პროდუქტებით, კლიმაქტერიულ პერიოდში ნაკლებად აწუხებთ ალები და იშვიათად ემართებათ კლიმაქტერიული სინდრომისთვის დამახასიათებელი ოსტეოპოროზი.

ზოგჯერ ქალბატონებს აშინებთ კლიმაქტერიული პერიოდის დადგომა. მათ მინდა მიემართო: ის ბუნებრივი მოვლენაა და ქალის ცხოვრებაში ახალი ეტაპია, რომელიც შეიძლება არანაკლებ აქტიური და საინტერესო იყოს, ვიდრე ახალგაზრდობის წლები.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



არჩილ ხომასურიძე

— ქალბატონო ლალი, საზოგადოებამ მეტნაკლებად იცის, რა ქარტეხილები გადაიარა იოსებ ჟორდანიას სახელობის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტმა. მოხდა რეორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციული ცვლილებები. რა ზღვება დღეს, მოგვიყვით ინსტიტუტის გუნდზე, თქვენს ახლანდელ საქმიანობაზე.

— რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტმა, როგორც თქვენ მოიხსენიეთ, ამ სახელით ფუნქციონირება 2014 წლიდან დაიწყო და შეიქმნა ძველი ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ.

ახალი ინსტიტუტის დამფუძნებელი და სულისჩამდგემლია პროფესორი არჩილ ხომასურიძე, საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდენტი, სრული პროფესორი.

ინსტიტუტში მოღვაწეობს პროფესიონალთა გუნდი, რომელთაც აქვთ 55-წლიანი გამოცდილება გინეკოლოგიურ ენდოკრინოლოგიასა და უშვილობის მკურნალობაში. ჩვენთან მიმდინარეობს გინეკოლოგიური დაავადებთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მნიშვნელოვან ყურადღებას ვაქცევთ რეპროდუქციული ორგანოების სიმსივნეების ადრეულ გამოვლინებას და პროფილაქტიკას, მათ შორის სარძევე ჯირკვლის პათოლოგიების მკურ-



პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. სამწუხაროდ, საქართველოც მათ რიცხვშია. რამდენად ხშირია ეს პრობლემა ჩვენ ქვეყანაში?

— უშვილობა, თავისთავად, მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა.

უშვილობასთან პირდაპირ არის დაკავშირებული თვითნებური აბორტების საკითხი. უშვილობის სიხშირე საქართველოში სტაბილურად მაღალია, დაახლოებით, 10–15%, რაც ნიშნავს, რომ ყოველი მეხუთე, მეექვსე წყვილი შეიძლება იდგეს ამ პრობლემის წინაშე.

მკურნალობა ყველასთვის ინდივიდუალურია, თუმცა უნდა



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

გაზეთის გამოცემა შეგიძლიათ
„ვას „ელგა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალი“ სტამბაში.
აგლამის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001